

აგროგეიქნიკური შეჯამება

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ნაკვეთის მონაცემები	3
2. ჩატარებული სამუშაოების აღწერა	3
3. ნაკვეთის ფიზიკური აღწერა.	4
4. ინფრასტრუქტურის აღწერა	8
5. სასაშენო და საირიგაციო წყალი.	9
6. ნაკვეთის აგროტექნიკური მონაცემები	11
7. კლიმატი.	11
8. ნიადაგი	12
9. საფრთხეები და რისკები	16
10. რეკომენდირებული კულტურები	17
11. დასკვნა	20
12. დანართი	24

1. ნაკვეთის მონაცემები


ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო სამეურნეო
მუნიციპალიტეტი: თეთრიწყარო
ფართობი: 100ჰა

2. რატარებული სამუშაოების აღწერა

სპეციალისტების ვიზიტის შედეგად გატარდა შემდეგი სამუშაოები:

- რელიეფიდან გამომდინარე ნაკვეთის კონკრეტული მონაკვეთების ვარგისიანობის შეფასება;
- შეფასდა საფრთხეები;
- ნაკვეთები დაიყო პირობით სექტორებად (სურ. 1);
- შეგროვდა ნიმუშები ნიადაგის ანალიზისთვის, ორ სიღრმეზე. (0-30სმ და 30-60სმ სიღრმეებზე); ჭამში ხუთი სექტორიდან, 25 ნიმუში, რაც პროპორციულად გადაზავდა ერთმანეთში და მომზადდა 10 საკვლევი ნიმუში. (სურ. 1);
- შეფასდა წყლის რესურსის პოტენციალი;
- შეფასდა ნიადაგის ფიზიკური მახასიათებლები;
- გაკეთდა სატესტო ხნულები დაქვიანების შესაფასებლად (სურ. 4);
- შემოწმდა ნიადაგის პროფილი (სურ. 4).


Sample points map



3 ნაკვეთის ფიზიკური აღწერა

ნაკვეთის რელიეფი არაერთგვაროვანია, ყველაზე მაღალი წერტილი სამხრეთ საზღვართან მდებარეობს, ყველაზე დაბალი წერტილი ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზეა მდინარე ალგეთის ნაპირებისკენ. ნაკვეთს ძირითადი ექსპოზიცია ჩრდილოეთ მიმართულებით აქვს. რელიეფი ტერასულია, ცენტრალური ნაწილი ყველაზე სწორი და ერთგვაროვანია ხოლო ზედა და ქვედა ნაწილები ქანობებით ხასიათდება.

- უდაბლესი წერტილი 505მ ზღვის დონიდან.
- უმაღლესი წერტილი 720მ ზღვის დონიდან.




სურ.2

ნაკვეთის ტერიტორიას ემიჯნება ბაზალტის კარიერი, შიდა პერიმეტრშიც შეინიშნება კერობრივი დაქვიანება, ზუსტი საზღვრების გამოსავლენად ჩატარდა ხნულები რათა დაგვედგინა სადაა ძლიერი დაქვიანება და სად ნაკლები, ასევე გაკეთდა ჭრილები 2-3 მეტრის სიღრმეზე (სულ 25 ჭრილი) რათა შეგვემოწმებინა ნიადაგის პროფილი და დაგვედგინა რამდენად გვაქვს გაუვალი ქვიანი ფენები. კვლევამ აჩვენა რომ ნაკვეთი იყოფა სამ ზონად:

- ძლიერ ქვიანი - სადაც სასოფლო სამეურნეო სამუშაოები ეკონომიკურად არაა მომგებიანი და აგრონომიულადაც არაა მიზანშეწონილი;
- საშუალოდ ქვიანი - სადაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობა შესაძლებელია, თუმცა რეკომენდებული კულტურების სპექტრი შედარებით შეზღუდულია;
- ნაკლებ ქვიანი - სადაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის ისევე როგორც კულტურათა ასორტიმენტის არჩევისთვის შემზღუდველი ფაქტორები მცირეა.



სურ.3



სურ.4

ტერიტორიის შესწავლამ აჩვენა რომ ბუჩქნარების უმეტესობა განთავსებულია ძლიერ დაქვიანებულ გორებზე რომელთა დიდი ნაწილი კულტივირებადი სექტორებიდან ამოღებულია (სურ. 5-6)



სურ.5



სურ.6

მცენარეული საფარი

ნაკვეთზე შეინიშნება მრავალწლიანი ბუჩქნარი (დეძვი-Paliurus) და მრავალწლიანი ბალახეული საფარი.



სურ.7



სურ.8

4. ინფრასტრუქტურა

გზა/მანძლი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე

ნაკვეთი პირდაპირ ემიჯნება სოფელ „პატარა დურნუკს“ თავად სოფელი მოასფალტებული გზიდან (მარნეული - თეთრინყაროს მაგისტრალი) 3,5კმ-ითაა დაშორებული, ოდნავ მოშორებით მდებარეობს სოფელი „კოტიში“ ნაკვეთის უახლოესი საზღვარი სოფლისგან 1,3 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში გზა მოასფალტებულია და მარაბდის გავლით უერთდება თბილისი - მარნეულის მაგისტრალს.

ელექტრო ენერჯია

ნაკვეთები არაა უზრუნველყოფილი ელ ენერჯიით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნაკვეთები მდებარეობენ დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, რაც ფართობის ელექტრო ენერჯიით უზრუნველყოფას გააადვილებს.

გაზი

ნაკვეთებში გაზი არაა შეყვანილი. უახლოესი გაზიფიცირებული სოფლებია: კოტიში (1,3კმ), მარაბდა (3,5კმ) და ხაიში (4კმ).

შენობა ნაგებობები

ნაკვეთზე არ შეინიშნება მოქმედი შენობა ნაგებობები, თუმცა ერთგან შეინიშნება დაუდგენელი წარმომავლობის ქვათა ნყობა რომლებიც შესაძლოა ოდესღაც ფუნქციურად დატვირთული იყო, ამ ნანგრევებისგან ათიოდე მეტრის მოშორებით კი ძველი, ბაზალტისგან გამოთლილი საფლავის ქვა დევს. საჭიროა უფრო დეტალურად გარკვევა რა ფუნქციის შენობასთან გვაქვს საქმე, რაიმე კულტურული ღირსშესანიშნაობის სტატუსი აქვს თუ არა. იხილეთ სურ. 9-10



სურ.9



სურ.10

ღობე

ნაკვეთები არაა ღობით შემოსაზღვრული

5. სასმელი და საირიგაციო წყალი

სასმელი წყალი

ნაკვეთებში მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემა არაა შეყვანილი. თუმცა მომიჯნავე სოფლების (დურნუკი და კოტიში) წყლით მომარაგების სამუშაოები დაწყებულია. იხილეთ სურ. 11.



სურ. 11

საირიგაციო წყალი

საირიგაციოდ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მდინარე ალგეთი (მოცემული მდინარე რეგიონის მთავარ საირიგაციო არტერიას წარმოადგენს და კვებავს ალგეთის წყალსაცავს). იგივე მდინარიდან იღებს საირიგაციო წყალს ნაკვეთის მომიჯნავე ნუშის ბაღიც.

საირიგაციო წყლის მიღება უნდა განხორციელდეს მდინარე ალგეთიდან, შესაბამისი გარემოსდაცვითი სკრინინგის დოკუმენტის საფუძველზე.

6. ნაკვეთის აგროტექნიკური მონაცემები

სადრენაჟე არხები

ნაკვეთი არაა დაქსელილი სადრენაჟე ინფრასტრუქტურით.

დაჭაობება და წყალდადგომები

ნაკვეთის რელიეფიდან გამომდინარე დაჭაობება არ შეინიშნება და შეიძლება ითქვას რომ დაჭაობების რისკი მიზერულია.

ქარსაცავი

ნაკვეთს არცერთი მხრიდან არ აკრავს ქარსაცავი და არც ძველი ქარსაცავის ნაშთები შეინიშნება.

7. კლიმატი

მარნეულის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად მშრალი სუბტროპიკული თბილი სტეპების ჰავა. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12 °C, იანვრის 0-0,3 °C, ივლისის 24 °C, აბსოლუტურ მაქსიმუმი 40 °C. ნალექები 490-550 მმ წელიწადში.

ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი დეკემბერში. ბაბაკარისა და იალლუჯის სერებზე და ასევე ლოქის ქედზე ჰავა ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გარდამავალია. იცის ცხელი ზაფხული.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდ ნაწილში წლიურად 400-600 მმ ნალექი მოდის.

ცხრილი № 1. კლიმატური მახასიათებლები

ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C)													
თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მარნეული	0,0	1,9	6,0	11,5	16,8	20,6	23,9	23,5	19,0	13,4	7,0	1,9	12,1
ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	-4,0	-2,6	1,1	6,2	11,0	14,4	17,6	17,3	13,3	8,1	2,9	-2,0	6,9
ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური წლიური მინიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	-25	-19	-15	-7	-1	4	7	7	-1	-7	-10	-21	-25
ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური მაქსიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	5,5	7,6	11,9	17,8	23,0	27,0	30,3	30,3	25,5	19,8	12,4	7,5	18,2
ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური წლიური მაქსიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	20	23	27	31	34	37	39	40	37	33	27	24	40
ვარდობითი ტენიანობა (%)													
მარნეული	75	72	70	66	67	64	60	60	67	74	78	77	69
ნალექები (მმ)													
მარნეული	17	21	32	51	69	68	35	27	36	37	35	16	444
ქარის სიჩქარე (მ/წმ)													
მარნეული	1,6	2,0	2,2	2,3	2,0	1,9	1,9	1,8	1,7	1,5	1,2	1,2	1,8
ქარის მიმართულებების განმეორადობა (%)													
მარნეული	27	6	18	13	5	3	11	16	33	27	6	18	13

შენიშვნა: ნაკვეთი ოფიციალურად თეთიწყახოს ხაიონს ეკუთვნის. თუმცა, ვინაიდან ნაკვეთი ახდომ მდებარეობს მახნუდის მუნიციპალიტეტთან (მახნუდის ცენტრიდან ნაკვეთამდე 9კმ) ვიდრე თეთიწყახოს მუნიციპალიტეტთან (თეთიწყახოს ცენტრიდან ნაკვეთამდე 22კმ), თეთიწყახოს კლიმატის განვსჯობა მოცემულ ნაკვეთზე ახაიდევეანგუხად მივიჩნით. გეოგრაფიულადაც ნაკვეთი უფრო მახნუდს ებმის ვიდრე თეთიწყახოს

8. ნიადაგი

საკვლევ არეალში ჯამში 25 ადგილიდან მოხდა ნიადაგის ანალიზების აღება, სულ 10 ნიმუში (5 სექტორი, 2 ფენა: 0-30 სმ; 30-60 სმ).

სექტორი A

pH
A - სიღრმე 0-30 სმ - 7,83 (სუსტი ტუტე)
A - სიღრმე 30-60სმ - 8,05 (ტუტე)

EC mmhos/cm
A - სიღრმე 0-30 სმ - 0,45 (არ არის დამლაშებული)
A - სიღრმე 30-60სმ - 0,45 (არ არის დამლაშებული)

სექტორი B

pH

B - სიღრმე 0-30 სმ - 7,87 (სუსტი ტუტე)
B - სიღრმე 30-60სმ - 8,22 (ტუტე)

EC mmhos/cm

B - სიღრმე 0-30 სმ - 0,43 (არ არის დამლაშებული)
B - სიღრმე 30-60სმ - 0,63 (არ არის დამლაშებული)

სექტორი C

pH

C - სიღრმე 0-30 სმ - 7, 92 (სუსტი ტუტე)
C - სიღრმე 30-60სმ - 7, 83 (სუსტი ტუტე)

EC mmhos/cm

C - სიღრმე 0-30 სმ - 0,5 (არ არის დამლაშებული)
C - სიღრმე 30-60სმ - 3,07 (სუსტად დამლაშებული)

სექტორი D

pH

D - სიღრმე 0-30 სმ - 8,24 (ტუტე)
D - სიღრმე 30-60სმ - 7,84 (სუსტი ტუტე)

EC mmhos/cm

D - სიღრმე 0-30 სმ - 0,4 (არ არის დამლაშებული)
D - სიღრმე 30-60სმ - 2,67 (სუსტად დამლაშებული)

სექტორი E

pH


D - სიღრმე 0-30 სმ - 7,93 (სუსტი ტუტე)
D - სიღრმე 30-60სმ - 7,95 (სუსტი ტუტე)

EC mmhos/cm


D - სიღრმე 0-30 სმ - 0,94 (არ არის დამლაშებული)
D - სიღრმე 30-60სმ - 3,4 (სუსტად დამლაშებული)

(იხილეთ სურათები 12-13-14-15)


Lab test results - pH




Lab test results - pH



Lab test results - EC



Lab test results - EC



ანალიზების შეჯამება

კვლევების მიხედვით ნიადაგის არის რეაქცია სუსტი ტუტე და ტუტეს შორის მერყეობს.

თუმცა ეს მაჩვენებლებიც ძაან ახლოსაა ერთმანეთთან, შესაბამისად შესაძლოა ითქვას რომ არის რეაქცია თითქმის ერთგვაროვანია. მექანიკური შედგენილობის მხრივ ნაკვეთის 60% მიეკუთვნება „მძიმე თიხნარებს“, 20% საშუალო თიხნარს, ხოლო 20% მსუბუქ თიხას.

შენიშვნა: საშუალო თიხნახის და მსუბუქი თიხას შედეგები იმდენად ახლოსაა მძიმე თიხნახთან, აგროტექნიკური სამუშაოების დაგეგმვისას ჯობია მთელი ფაქტობი მძიმე თიხნახიან ნაკვეთად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ნიადაგის დამლაშების ხარისხს აქ განსხვავებული სურათი გვაქვს.

- A და B სექტორებში ზოგადი სურათი ორივე ფენაში დადებითია და არაა დამლაშებული.

- C, D და E სექტორებში ზედა ფენებში (0-30სმ) არაა დამლაშება, ხოლო ქვედა ფენაში (30-60სმ) კატეგორიზაციის მიხედვით „სუსტად დამლაშებულის“ ხარისხი შეესაბამება.

შენიშვნა: დამლაშების ეს დონე ხიგი კუდგუხებისთვის შესაძლოა შემაფეხხებდოდ მიიჩნეოდეს, ამიგომ საჭირო იქნება ნიადაგის სწოხად დამუშავება და საძიხის სწოხად შეხრევა.

9. საფრთხეები და რისკები

კლიმატური საფრთხეებიდან საშიშროებას წარმოადგენს: სეტყვა, ძლიერი ქარები, გვალვა, ძლიერი წვიმა / წყალმოვარდნები.

ქარები

ნაკვეთების გარშემო არც ადრე იყო ქარსაცავი მოწყობილი და არც ამჟამად შეინიშნება. ქარისმიერი საფრთხეებისგან თავის დასაზღვევად რეკომენდებულია ქარსაცავის მოწყობა. მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში ქარსაცავის მოწყობას „სავალდებულოს“ სტატუსი აქვს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ქარსაცავი ამცირებს წაყინვების რისკებსაც.

გვალვა

კლიმატური საფრთხეებიდან გვალვა ერთ ერთი ფართოდ ნაცნობი პრობლემაა, მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივები მთავარ პრობლემად უწყლობას მიიჩნევენ (საირიგაციო წყლის არარსებობა). შესაბამისად, ცალსახად აუცილებელია საირიგაციო წყლის აღება მდინარე ალგეთიდან და საირიგაციო სისტემის დაგეგმვა და ინსტალაცია ნაკვეთზე.

ძლიერი წვიმა / წყალმოვარდნები

ნაკვეთის რელიეფიდან გამომდინარე საფრთხეებში გასათვალისწინებელია ჭარბი ტენის დროს წყალმოვარდნები, რაც ცალკე საჭიროებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორცაა სადრენაჟე არხების / წყალამრიდების ქსელის მოწყობა.

10. რეკომენდებული კულტურები

კაკლოვანი კულტურები

- ✓ ნუში
- ✓ კაკალი
- ✓ თხილი

ხეხილი - ვაზი

- ✓ ტყემალი
- ✓ ალუჩა
- ✓ ვაზი
- ✓ ვაშლი
- ✓ მსხალი
- ✓ ქლიავი
- ✓ ბალი
- ✓ ალუბალი
- ✓ ბროწეული
- ✓ მაყვალი
- ✓ ჟოლო
- ✓ კომში
- ✓ ხურმა

მარცვლული და პარკოსანი კულტურები

- ✓ სიმინდი
- ✓ ხორბალი
- ✓ ქერი
- ✓ შვრია
- ✓ იონჯა

კენკროვანი კულტურები


- ✓ მარწყვი

ბოსტნეული კულტურები


- ✓ პომიდორი
- ✓ კომბოსტოსნაირები
- ✓ ხახვი
- ✓ ნიორი
- ✓ კარტოფილი

შენიშვნა: გასათვადისწინებელია ტეხიტოხიისთვის დამახასიათებელი სიცხვე და საგაზაფხულო წაყინვები, ამიტომ უნდა იქნეს შეჩვენული ისეთი ჯიშები რომლებიც ადრე მოყვავიდე ახაა ხათა თავიდან ავიცილოთ საგაზაფხულო ყინვისმიეხი დაზიანება.

შენიშვნა: მახცვლელი კულტურების და იონჯას აჩრევის შემთხვევაში უნდა დავეყიდნოთ ქვიან და უქვო სექტორებს, ხადგან ქვიან ნაკვეთზე ტექნიკას უჭიხს მუშაობა/მოსავლის აღება. შესაბამისად დაქვიანების კვდევაზე დაყიდნობით უნდა შეიჩრეს პიოხიიტეტი კულტურა. იგივე პიინციპი ვიცდედება ხახვნაიხ, დიხვენა და გუბეხიან ბოსტნეულებზე. (იხიდეუთ დაქვიანების ხუკა, სუხ. 16-17)



სურ. 16



სურ. 17

11. დ ა ს კ ვ ნ ა

ნაკვეთის სიმალლობრივი მოდელირების, ქიმიური და ფიზიკური შესწავლის შედეგად გამოვლინდა კულტივირებადი და არაკულტივირებადი ფართობები. კულტივირებადი ფართობი დაიყო ორ ზონად:

1. 0° დან 10° გრადუსამდე დახრილობის მქონე ზონა;
2. 10° დან 15° გრადუსამდე დახრილობის მქონე ზონა.

სურათებზე 18 და 19 ნაჩვენებია ფართობები, როგორც საკვლევი ტერიტორიის შიგნით ასევე საკადასტრო საზღვრის ფარგლებში.

საკადასტრო საზღვრებს შიგნით:

- კულტივირებადი ფართობი (0°-10°) – 20,05 ჰა;
- კულტივირებადი ფართობი (10°-15°) – 42,66 ჰა;


სულ კულტივირებადი - 62,71 ჰა;
სულ არაკულტივირებადი - 37,29 ჰა.


მთლიან საკვლევ ტერიტორიაზე:

- კულტივირებადი ფართობი (0°-10°) – 68,63 ჰა;
- კულტივირებადი ფართობი (10°-15°) – 22,52;
- არაკულტივირებადი - 63,31 ჰა.

კულტივირებადობის რუკა

სურ. 18





სურ. 19

აღნიშნულ არეალში სადაც ნაკვეთი მდებარეობს კულტურათა საკმაოდ ფართო სპექტრის მოყვანაა შესაძლებელი. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მოცემული ნაკვეთი ერთნაირი მიმღებლობით ხასიათდებიან ყველა კულტურის მიმართ. შესაბამისად უნდა ვიხელმძღვანელოთ ზემოთ მოცემული ჩამონათვალით.

პირველადი კვლევების მიხედვით, როგორც ვნახეთ ნიადაგის არის რეაქცია და დამლაშების ხარისხი უმეტესად მისაღებია, გვაქვს მონაკვეთები სადაც დამლაშება გამოიკვეთა და ზუსტი არეალის გამოსავლენად უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი სექტორები, ამით ზუსტად გამოიკვეთება პრობლემური არეალი და იმ არეალის შესაბამისად აირჩევა დამლაშებისადმი მეტად ტოლერანტული კულტურები.

ნაკვეთში დიდი გამოწვევა ქვიანი მონაკვეთებია, სექციები სადაც საშუალოდ 5-10 სანტიმეტრის დიამეტრის ქვების დიდი რაოდენობა შეინიშნება, ეს კარგად გამოჩნდა ნიადაგის ჭრილშიც (იხილეთ სურ. 20). ქვიან სექციებში ერთნაირი კულტურების მოყვანა ლიმიტირებულია განსაკუთრების ეს ეხება ხახვნაირ, ძირხვენა და ტუბერიან ბოსტნეულს. ნაკვეთის გარკვეულ ნაწილებში შეინიშნება ზედაპირული ქვები, ამიტომ საჭირო იქნება, ამ ქვების ფიზიკურად შეგროვება და გატანა ნაკვეთიდან (ან საჭიროებისამებრ გამოყენება).



სურ. 20

ნაკვეთი უფრო რელევანტურია მრავალწლიანი მცენარეებისთვის, რომელთათვის სწორად უნდა შეირჩეს საძირე და შესაბამისად დაგეგმილი აგროტექნიკური ღონისძიებები.

აუცილებელია ნაკვეთში მოეწყოს გამართული სადრენაჟე სისტემა. რათა თავიდან ავიცილოთ დამუშავებული ქანობების წყლისმიერი ეროზია.

კლიმატური პირობების კუთხით მნიშვნელოვანი გავითვალისწინოთ ქარსაფარი ზოლის არარსებობა, შესაბამისად აუცილებელია სწორად დაიგეგმოს და მოეწყოს ქარსაცავი სისტემები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნაკვეთის შუაგულში მოქცეულია საკმაოდ დიდი ფართობი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია, დაახლოებით 54,5 ჰა. (ამ 54,5 ჰექტრიდან ზოგიერთი დარეგისტრირებულია და სახელმწიფო ბალანსზეა ზოგი კი დაურეგისტრირებელია, მათ შორისაა ასევე დაურეგისტრირებელი ბაზალტის ქვიანი კუნძულები.)

მკაცრად რეკომენდებულია, რომ მოხდეს ამ ნაკვეთების საკუთრებაში მიღება (აუქციონის, ან პირდაპირი მიყიდვის წესით). აქვე აღსანიშნავია, რომ გარშემო კიდევე ჯამში დაახლოებით 50 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთებია, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია და შესაძლოა გაფართოების მიზნით მათი შესყიდვაც. (იხილეთ. ცხრილი #2)


ნაკვეთთან მოსაზღვრე ბაზალტის კარიერებიდან მოიპოვებენ ბაზალტს და შემდეგ ქედის გადაღმა არსებულ საწარმოში მიაქვთ - და ამუშავებენ. კარიერის ძირითადი ნაწილი ქედის სამხრეთ მხარესაა ხოლო ნაკვეთები ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, რაც ამცირებს საწარმოო ხმაურის შედეგად შექმნილი დისკომფორტის რისკებს. ეს დასტურდება „აგრო სოლუშენსის“ მკვლევრების და მეზობელი სოფლების მოსახლეობის გამოკითხვიდან.

ცხრილი 2. სახელმწიფო ნაკვეთები

მიწის (ს.კ.)	მისამართი (თეთრიწყარო)	ფართობი (კვ.მ)	მესაკუთრე	ვალდებულება	შენიშვნა
84.09.32.000.033	ს. დიდი ღურნუკი	15538	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	ფართობი დაახლოებით 8 ჰექტარია, რეესტრში არასწორად ფიქსირდება
84.09.32.000.007	ს. ღურნუკი	111949	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.09.32.000.032	ს.დიდი ღურნუკი	184713	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.09.32.000.006	ს.ღურნუკი	64621	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.09.32.000.038	ს.დიდი ღურნუკი	9566	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.09.32.000.046	ს.დიდი ღურნუკი	8283	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.07.33.000.274	ს.ქოთიში	259989	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	
84.09.32.000.030	ს.დიდი ღურნუკი	67585	სახელმწიფო	არ ფიქსირდება	

ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვართან, მდინარე ალგეთის ნაპირებთან პირობითად გამოიყო 1 დიდი სექტორი (იხილეთ სურ. 21). აღნიშნული სექტორი გამოირჩევა კომერციულად საინტერესო მდებარეობით (ფერდობი უყურებს მდინარის ხეობას) და გააჩნია სააგარაკე/დეველოპერული პოტენციალი.

კომერციულად საინტერესო ტერიტორიის რუკა



12. დ ა ნ ა რ თ ი

